Подписано цифровой подписью: LEPL Georgian state teaching university of physical education and sport
Дата: 2022.05.25 10:58:39 +04'00'

მომსახურების ხელშეკრულება

ქ. თბილისი

25 მაისი 2022 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,** (საიდენტიფიკაციო კოდი: (ს/კ: 205304357), წარმოდგენილი მისი რექტორის **ჯემალ ძაგანიას** სახით, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული და მეორე მხრივ, **სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი** (საიდენტიფიკაციო კოდი: 202198727), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **სოფიო გორგოძის** სახით, შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებას და იღებს შეთანხმებულ ანაზღაურებას.

1.2. შემსრულებელი აბიტურიენტებს გაუგზავნის საინფორმაციო შინაარსის მოკლეტექსტურ შეტყობინებას. შეტყობინების ადრესატთა რაოდენობა და ტექსტი უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის. ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 160 სიმბოლოს. 2022 წლის 31 დეკემბრამდე მოხდება სულ არაუმეტეს 10 (ათი) ასეთი შეტყობინების დაგზავნა.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

2.2. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსათვის.

2.3. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ჯეროვანი შესრულება.

3. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. დამკვეთი წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის შემსრულებელს უხდის თითოეული გაგზავნილი მოკლეტექსტური შეტყობინებისათვის 0.35 ლარს.

3.2. დამკვეთი ვალდებულია 3.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხა შემსრულებელს გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო.

3.4. ამ მუხლის 3.2. პუნქტით განსაზღვრული ანგარიშსწორების ვადის დარღვევისთვის, დამკვეთი ვალდებულია ჯარიმის სახით გადაუხადოს შემსრულებელს გადასახდელი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

4.2. შემსრულებელი დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად ახორციელებს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

8.5. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ცალკეული შეთანხმებები (დანართები) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათზე სრულად ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

"დამკვეთი"	"შემსრულებელი"
სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	**სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი**
მის: ჭავჭავაძის გამზირი, N 49. თბილისი, საქართველო	მის.: მინდელის ქუჩა N9, თბილისი, საქართველო **მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა** **მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში** **ბანკის კოდი - TRESGE22** **მიმღების დასახელება/სახაზინო კოდი - 707627499**
რექტორი:	დირექტორი:
ჯემალ ძაგანია	სოფიო გოროგოძე